ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №423361

ნომერი: AR191079

თარიღი : 07.11.2012

გაცემის თარიღი : 09.11.2012

გაცნობის თარიღი : 14.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა წიკლაური პ/ნ 08001003060
- ახმეტა ს. ქვემო ალვანი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, ვაჟა – ფშაველას გამზირი N39–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 015/004) არსებული შენობის, შპს "კომპასი"–ს , ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური.საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის(ირმა წიკლაური განცხადება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882012364412, საკადასტრო კოდი N 01.10.15.015.004.01.507 ფართის მესაკუთრის უფლებამოსილი პირის თანხმობა, მინდობილობა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს სექტორი–საბურთალო, ვაჟა – ფშაველას გამზირი N39–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 015/004) არსებული შენობის, შპს "კომპასი"–ს , ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

–სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა;

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.